საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 633 2024 წლის 30 აპრილი ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას (IFAC) შორის საქართველოში რეგისტრირებული სუბიექტისთვის საავტორო უფლებით დაცული მასალის თარგმნისა და გამოცემის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, შემდგომში სამოქმედოდ შემოღების მიზნით, გასაფორმებელი ხელშეკრულების მოწონების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 მარტის №562 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას (IFAC) შორის საქართველოში რეგისტრირებული სუბიექტისთვის საავტორო უფლებით დაცული მასალის თარგმნისა და გამოცემის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, შემდგომში სამოქმედოდ შემოღების მიზნით, გასაფორმებელი ხელშეკრულების მოწონების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 მარტის №562 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსი მე-3 პუნქტი:

„3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატების შეტანა ან ხელშეკრულების მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება (მათ შორის, მომსახურების საფასურის ან ვადის ცვლილება), მის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდგომ, გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმების გარეშე.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**